ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 656

“20” დეკემბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ქუჩა ყვარელი, № 109-ში მდებარე 51.52 კვ. მ. ფართობის უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.17.08.023.003.01.026) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს #21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მთავრობას „ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N109-ში არსებული 51.52 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.08.023.003.01.026) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 18 დეკემბრის № 24.2172.2439 განკარგულებით გათვალისწინებული - ქალაქ თბილისში, ქუჩა ყვარელი, № 109-ში მდებარე 51.52 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.17.08.023.003.01.026) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად ზაზა მჭედლიძისთვის (პირადი № 01011065480) საკუთრებაში გადაცემაზე, ხსენებულ პირთან დასადები, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე